

ს.ს.ი.პ. „საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური“-ს 2014 წლის

სამოქმედო გეგმა

ამოცანა	გასატარებელი ღონისძიებები (საჭიროების შემთხვევაში)	შესრულების ვადები		განმახორციელებელი (დეპარტამენტი, სსიპ)	პარტნიორი ორგანიზაცია (ასეთის შემთხვევაში)	შესრულების ინდიკატორები	შენიშვნა/ კომენტარი
		დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი				
სფერო: 1. საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური							
1. საერთაშორისო სტანდარტი ISO 9001:2008 ხარისხის მენეჯმენტის დანერგვა.	1.1 სასერტიფიკაციო ორგანოდან მიღებული იქნება კონსულტაცია ხარისხის მენეჯმენტის დოკუმენტაციის შემუშავებისა და დანერგვის სფეროში საერთაშორისო სტანდარტი ISO 9001:2008-ს შესაბამისად, რომელიც მოიცავს ჰიდროგრაფიული სამსახურის საქმიანობის ყველა სფეროებს; 1.2. ხარისხის სისტემის პირველადი შეფასება; 1.3. ხარისხის სისტემის სასერტიფიკაციო აუდიტი;	თებერვალი	მაისი	საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური	სასერტიფიკაციო ორგანო;	საერთაშორისო სტანდარტი ISO 9001:2008 ხარისხის სერტიფიკატი;	
2. საერთაშორისო ჰიდროგრაფიული ორგანიზაციის (IHO)-ს ექსპერტთა ვიზიტი საქართველოში, ჰიდროგრაფიულ სამსახურში;	2.1. საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახურის პოტენციალის შეფასება, მზაობა (IHO)-ში გაწვევრიანებისთვის მოცემული რეკომენდაციების შესრულების რევიზია;	21 აპრილი	25 აპრილი	საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური	საერთაშორისო ჰიდროგრაფიული ორგანიზაცია (IHO)-ს ტექნიკური ექსპერტები;	(IHO)-ს დირექტორიკატთან საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახურზე ანგარიშის წარდგენა; ტექნიკური რეკომენდაციების მიღება;	
3. შავი და აზოვის ზღვების მუშა ჯგუფის მე-12 შეხვედრა (BASWG-12)	3.1. საერთაშორისო ჰიდროგრაფიული ორგანიზაციის ბიუროს გადაწყვეტილებით მუშა ჯგუფის (BASWG-12) შეხვედრა ტარდება საქართველოში (ბათუმში) განიხილება რეგიონში ჰიდროგრაფიულ სფეროში ურთიერთანამშრომლობის და კოორდინაციის საკითხები, რუქებთან დაკავშირებით პასუხისმგებლობის ზონების ლიმიტაციის საკითხები.	3 ივნისი	4 ივნისი	საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური	უკრაინის ჰიდროგრაფიული სამსახური; რუსეთის ჰიდროგრაფიული სამსახური; თურქეთის ჰიდროგრაფიული სამსახური; ბულგარეთის ჰიდროგრაფიული სამსახური; რუმინეთის	რეგიონში ნაოსნობის უსაფრთხოების ხარისხის ამაღლების ღონისძიებათა გეგმების შემუშავება;	

					ჰიდროგრაფიული სამსახური; საერთაშორისო ჰიდროგრაფიული ორგანიზაცია (IHO)		
4. საკანონმდებლო ორგანოში საზღვაო კოდექსის ცვლილებების ინიცირება;	4.1. წარმოდგენილი კანონპროექტის მიზანია სამსახურის მიერ საქართველოს საზღვაო პასუხისმგებლობის ზონაში უსაფრთხო ნაოსნობის უზრუნველსაყოფად გაწეული მომსახურებების სანაცვლოდ შესაბამისი საფასურის მიღება;	თებერვალი	მაისი	საქართველოს პარლამენტი; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური;		სამსახურის შემოსავლების გაზრდა;	
5. სახმელეთო და მცურავი სანავიგაციო ნიშნების მიმდინარე და კაპიტალური რემონტები;	5.1. ექსპლუატაციაში მყოფი სანავიგაციო ნიშნები განიცდიან ზემოქმედებას ბუნებრივი მოვლენების გამო. მათი გამართულ მდგომარეობაში ყოფნისა და ნორმალური ფუნქციონირებისათვის საჭიროა სარემონტო-შეკეთებითი სამუშაოების წარმოება;	იანვარი	დეკემბერი	საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახურის სანავიგაციო ნიშნების ტექნიკური მომსახურებისა და მონიტორინგის განყოფილება;		სანავიგაციო ნიშნების გამართული ფუნქციონირება; ნაოსნობის უსაფრთხოება;	
6. მცურავი სანავიგაციო ნიშნების JPS მონიტორინგული სისტემით აღჭურვა;	6.1. ფოთისა და ბათუმის პორტების შესასვლელ არხებში მცურავ სანავიგაციო ნიშნებზე განთავსდება მონიტორინგული სისტემა, რომლის საშუალებითაც მართვის ცენტრიდან გაკონტროლდება მათი მუშაობის გამართულობა; (აღჭურვილია ყულევის პორტი სრულად, ფოთის პორტი ნაწილობრივ);	მაისი	აგვისტო	საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახურის სანავიგაციო ნიშნების ტექნიკური მომსახურებისა და მონიტორინგის განყოფილება;		სანავიგაციო ნიშნების გამართული ფუნქციონირება; ნაოსნობის უსაფრთხოება;	
7. ბათიმეტრიული კვლევები;	7.1. ზღვაზე ნაოსნობის ინტენსიურ ადგილებში, პორტების შესასვლელებში და აკვატორიებში მუდმივად განხორციელდება ზღვის სიღრმეების შესწავლა;	იანვარი (მეტეო პირობებიდან გამომდინარე)	დეკემბერი (მეტეო პირობებიდან გამომდინარე)	ჰიდროგრაფიული სამსახურის ჰიდროგრაფიული კვლევის, კარტოგრაფიისა და კორექციის განყოფილება;		ნაოსნობის უსაფრთხოება;	
8. ქალაქისა და ელექტრონული რუქების წარმოება;	8.1. ჰიდროლოგიური კვლევების შედეგად მიღებული მონაცემებით განხორციელდება რუქების კორექცია-განახლება. ახალი რუქების შექმნა და მათი რელიეზაცია მომხმარებელზე;	იანვარი	დეკემბერი	ჰიდროგრაფიული სამსახურის ჰიდროგრაფიული კვლევის, კარტოგრაფიისა და კორექციის განყოფილება;		ნაოსნობის უსაფრთხოება;	
9. ზღვაზე მეტეო პირობების მუდმივი დაკვირვება-შესწავლა და საზღვაო გაფრთხილებების სახით შეტყობინებების წარმოება;	9.1. ზღვაზე მცურავი და ხმელეთზე სტაციონალური მეტეო სენსორებით ასევე თანამგზავრიდან მუდმივად ხდება მეტეომონაცემების მიღება და დამუშავება რის შედეგადაც ის გადაეცემა პორტის სადიჩპეროს, პორტის საკაპიტნო სამსახურს, სამაშველო სამსახურსა და სანაპირო დაცვას, მოსალოდნელი შტორმების და რთული მეტეო პირობების შემთხვევაში პრევენციული ზომების გასატარებლად;	იანვარი	დეკემბერი	სინოპტიკური განყოფილება;		ნაოსნობის უსაფრთხოება; ადამიანების უსაფრთხოება;	
10. მანათობელი სანავიგაციო ნიშნების მოდერნიზაცია;	10.1. ხმელეთზე განთავსებულ მანათობელ სანავიგაციო ნიშნებს ეკარგებათ გამონათების სიძორე და მახასიათებლები, ქლაქში განთავსებული შენობა-ნაგებობების ფასადური განათების გამო. (ბათუმი) რის	მარტი	სექტემბერი	ჰიდროგრაფიული სამსახურის სანავიგაციო ნიშნების ტექნიკური მომსახურებისა და მონიტორინგის განყოფილება;		ნაოსნობის უსაფრთხოება;	

	გამოც გემის კაპიტნებს ორიენტაციები ეკარგებათ. აღნიშნული მანათობლები საჭიროებენ მოდერნიზაციას და არსებულ რეალობასთან შესაბამისობაში მოყვანას;						
11. კადრების კვალიფიკაციის ამაღლება;	11.1. საერთაშორისო სტანდარტების მქონე კვალიფიციური კადრების (SURVEY OF "B" CATEGORY) მომზადება ჰიდროგრაფიული კვლევის სფეროში, ასევე კარტოგრაფიასა და მეტეოროლოგიაში. დაგეგმილია კადრების გადამზადება როგორც ქვეყნის შიგნით – საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ასევე ქვეყნის ფარგლებს გარეთ – საერთაშორისო ჰიდროგრაფიული ორგანიზაციის (IHO) მიერ რეკომენდირებულ სასწავლებლებში.	თებერვალი	დეკემბერი	საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური;	სატრენინგო ცენტრები	კვალიფიციური კადრი;	